საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-517

23/04/2021

ქ. თბილისი

„შპს „ჯეოპოლი“-ს ელასტიკური ნივთიერებების დამუშავების (პლასტმასის ნაკეთობათა წარმოების საამქრო) საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 2 ნოემბრის №ი-559 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 24 მარტს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ჯეოპოლის“ დირექტორმა და ითხოვა 2016 წლის 1 ნოემბრის №54 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული №000227 გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2016 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ჯეოპოლის“ ელასტიკური ნივთიერებების დამუშავებაზე (პლასტმასის ნაკეთობათა წარმოების საამქრო; ქ. რუსთავი, მშენებელთა ქუჩის მიმდებარე ტერიტორია) გაიცა №54 (01.11.2016) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ტერიტორიიდან გატანილია დანადგარები და საწარმო არ ფუნქციონირებს. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს ნებართვის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ჯეოპოლის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ჯეოპოლი“-ს ელასტიკური ნივთიერებების დამუშავების (პლასტმასის ნაკეთობათა წარმოების საამქრო) საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 2 ნოემბრის №ი-559 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ჯეოპოლს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეოპოლის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი